

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო



WWW.MOH.GOV.GE

„სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2012 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის აღჭურვისათვის საჭირო სასწავლო ინვენტარის სახელმწიფო შესყიდვა

CPV 39100000

[39162000 - საგანმანათლებლო მოწყობილობები](#)

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის

ს ა ტ ე ნ დ ე რ ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა

ქ. თბილისი 2012 წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის	3 გვ.
2. ტექნიკური დავალება	6 გვ.
3. ტექნიკური დოკუმენტაცია	8 გვ.
4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფორმა	9 გვ.
5. დამატებითი ინფორმაცია	12 გვ.
6. დანართი №1.	13 გვ.
7. ფასების ცხრილი (დანართი №2)	14 გვ.
8. აფიდავიტი (დანართი №3).	15 გვ.

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს შესაბამისად.

1.2 სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხ. დანართი №3).

1.3 ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4 სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია წარმოდგენილი უნდა იქნას სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5 ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთამდე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-თ გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და, შესაბამისად, ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6 ამ ინსტრუქციის 1.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ხდება ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა სისტემის გამოყენების გარეშე, ელექტრონული გარანტიის დედანი და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი წარედგინება შემსყიდველ ორგანიზაციას. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.7 ელექტრონული გარანტიის ოდენობა შეადგენს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, ხოლო ვადა განისაზღვრება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში „წინადადებების მიღება დაწყებულია“ – სტატუსით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებიდან არანაკლებ 30 კალენდარული დღით.

1.8 ტენდერში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტს შეუძლია წარადგინოს წინადადება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ეტაპზე. პრეტენდენტის მიერ წარდგენილი წინადადება ძალაშია აღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.“

1.9 სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისგან.

1.10 ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.11 ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი.

1.12 სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდად.

1.13 ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.14 ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.15 ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი რაუნდები – ელექტრონული ვაჭრობის დამატებითი სამი რაუნდი (შემდგომში დამატებითი რაუნდები), რომელიც იწყება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ძირითადი დროის დასრულებისთანავე და გრძელდება ამავე პუნქტის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე. თითოეული რაუნდის დაწყებამდე მიმდინარეობს ორწუთიანი შესვენება. თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც თითოეულ პრეტენდენტს განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდებში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და, შესაბამისად, ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.16 დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში – კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე მაღალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში პირველ შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ბოლომ დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.17 მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.18 იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.19 თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის.

1.20 თუ პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 5 სამუშაო დღისა.

1.21 საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში შესაძლებელია განხორციელდეს სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტს ასევე, უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს სისტემის მეშვეობით, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით წარმოდგენის ვალდებულება პრეტენდენტს წარმოეშობა ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის.

1.22 იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაირა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.23 პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:

1. ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
2. ბ) თუ მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;
3. გ) თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი“-ს მე-12 მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილ ვადაში;

4. დ) თუ ის არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ დოკუმენტებს ამ წესის მოთხოვნათა დაცვით;
5. ე) თუ ის არის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი–“ს მე-15 მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული გამარჯვებული პრეტენდენტი და უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე ან არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას;
6. ვ) თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.“.

1.24 ამ ინსტრუქციის 1.23 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.25 გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ან ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესი–“ს მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ და „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის შემდეგ ელექტრონული გარანტია უბრუნდება პრეტენდენტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

7. ა) პრეტენდენტი უარს იტყვის თავის სატენდერო წინადადებაზე;
 8. ბ) პრეტენდენტი შეყვანილია შავ სიაში შესაბამისი ტენდერის ჩატარების შედეგად;
- გ) პრეტენდენტი დისკვალიფიცირებულია ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტების შესაბამისად.

1.26 იმ შემთხვევაში, თუ ელექტრონული გარანტიის პრეტენდენტისათვის დაბრუნება მოხდება ამ ინსტრუქციის 1.25 პუნქტით დადგენილი პირობების დარღვევით, პრეტენდენტი ვალდებულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დაუბრუნოს საგარანტიო თანხა შესაბამისი მოთხოვნისთანავე.

1.27 ელექტრონული ტენდერის შეწყვეტა:

- ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი, თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას.
- ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;
- გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, შესყიდვაში მონაწილე პირებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, ანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.28 ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.29. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.30. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.31. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.32. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. ტექნიკური დავალება

2.1. უნარჩვევებისათვის სიმულატორები (მანეკენები)

საინტუბაციო მილის ჩადგმის ტრენაჟორი მანეკენი

ტრენაჟორს აუცილებელია გააჩნდეს:

- სასუნთქი სისტემის რეალობასთან დაახლოებული მონაცემები, ცხვირი, პირი, კბილები, ენა, ტრაქეა და ტრაქეალური რგოლები, ბრონქები, აგრეთვე საყლაპავი და სხვა;
- მანიპულაციების სისწორის სხვადასხვა სახის ინდიკატორები;
- უცხოხეულის და შიგთავსის ევაკუაციის შესაძლებლობა;
- ზედაპირი ადვილად დასამუშავებელი.

2 - ერთეული

ფილტვის და გულის ტონების აუსკულტაციის სიმულატორი (მანეკენი)

სხვადასხვა კლინიკური შემთხვევების დროს გულისა და ფილტვების აუსკულტაციის მანეკენი.

აუცილებელია:

- ადამიანის ანატომიასთან დაახლოებული მანეკენი;
- სპეციალური სტეტოსკოპი;
- სხვადასხვა კლინიკური შემთხვევების აუდიო სისტემური უზრუნველყოფა;
- მაგალითად ისეთი შემთხვევები როგორცაა აორტალური რეგურგიტაცია, მიტრალური სტენოზი, პულმონური სტენოზი და სხვა არანაკლებ ათისა;
- ფილტვების აუსკულტაციისას: ბრონქეალური, კავერნოზული, ფილტვების შეშუპებისა და სხვა არანაკლებ ათისა.
- ზედაპირი ადვილად დასამუშავებელი.

2 - ერთეული

ტრავმის დახვეწილი მართვის სიმულატორი ATLS

სიმულატორი მაქსიმალურად უნდა იყოს დაახლოებული ცოცხალი ადამიანის კანის ფერთან. უნდა შედგებოდეს მოძრავი ნაწილებისაგან.

- მანეკენზე უნდა ისინჯებოდეს კაროტიდული (სადილე) პულსი;
- მანეკენზე უნდა იყოს მკერდის ძვალი, ნეკნთა რკალი და მკერდის ძვლის ქვედა (სუბსტერნალური) ზონა;
- მანეკენზე შესაძლო უნდა იყოს გულ-ფილტვის რეანიმაციის და ხელოვნური სუნთქვის პროცედურების განხორციელება;
- მანეკენს უნდა გააჩნდეს სისტემა ინტრავენური ინექციისთვის;
- სიმულატორს უნდა მოყვებოდეს სპეციალური ჭრილობების პაკეტი;
- მანეკენზე შესაძლო უნდა იყოს ჭრილობების პირველადი დამუშავების საშუალება;
- შესაძლო უნდა იყოს მანეკენის ტრანსპორტირება საკაცით.

2 - ერთეული

პაციენტის მოვლის სიმულატორი

სიმულატორი განკუთვნილია სხვადასხვა კლინიკური შემთხვევების როგორც საექიმო ასევე საექთნო კლინიკური უნარჩვევების დახვეწისათვის.

- სიმულატორი უნდა იყოს დამზადებული მაღალი ხარისხის გამძლე, წყალგაუმტარი პლასტიკისაგან. ასევე უნდა იყოს დაახლოებული ცოცხალი ადამიანის კანის ფერთან. იყოს მოქნილი, შესაძლო იქნება მანეკენის ფეხების, ხელების მოძრაობა და დაჯდომა. (ბუნებრივი მოძრაობები);
- მანეკენის შინაგანი ორგანოები (ფილტვები, გული, ნაწლავები და სხვა) უნდა იყოს მოძრავი, ადვილად მოხსნადი;
- საშარდე სისტემა რეალურთან დაახლოებული. ადვილად უნდა ხორციელდებოდეს შარდისბუშტის კატეტერიზაცია (ქალი, მამაკაცი);
- საინექციო ზონები უნდა იყოს მობილური და ასევე დამატებით კომპლექტებიც უნდა ახლდეს ამ მანეკენზე ისეთი უნარჩვევების დახვეწვა როგორცაა: პაციენტის გასუფთავება, ნახვევების დადება, პერსონალური ჰიგიენა, პაციენტის გადაადგილება, ჭრილობების დამუშავება და გადახვევა. სხვადასხვა სახის გამორეცხვების ჩატარება, კუნთშიდა და კანქვეშა ინექციები.
- ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმა, მუცლის ღრუს სხვადასხვა ჭრილობების გამორეცხვა დამუშავება. პოსტტრაქეოსტომიული ჭრილობის მოვლა.
- ასევე ხელოვნური სუნთქვის ჩატარება.
- კათეტერიზაცია.

2 - ერთეული

დეფიბრილატორის სიმულატორი.

სიმულატორი პალპაციით იდენტური უნდა იყოს იდენტური ცოცხალ პაციენტისა.

- მანეკენზე უნდა ისინჯებოდეს კაროტიდული(სადილე) პულსი;
- მანეკენის ზედაპირზე უნდა იყოს ანატომიური ნიშნულები: მკერდის ძვალი, ნეკნთა რკალი და მკერდის ძვლის ქვედა (სუბსტერნალური) ზონა;
- უნდა იყოს არტერიალური წნევის გასინჯვის საშუალება;
- შესაძლებელი უნდა იყოს გულ-ფილტვის რეანიმაცია და ხელოვნური სუნთქვის პროცედურის ჩატარება;
- ნაზალური და ენდოტრაქეალური ინტუბაციის საშუალება;
- ფიბრილაციის დროს სპეციალური დეფიბრილატორი რომელიც იძლევა რეალური კლინიკური შემთხვევების უნარჩვევების განვითარების საშუალებას;
- მანეკენს უნდა ახლდეს როგორც სპეციალური დეფიბრილატორი ასევე სისტემა რომლის მეშვეობითაც მოხდება რითმის მონიტორინგი და ასევე ჩატარებული პროცედურების სისწორის აღნიშვნა.

2 - ერთეული

2.3. საგარანტიო პირობები: მოსაწოდებელ საქონელზე საგარანტიო ვადა არანაკლებ 1 წელი, საქონლის მოწოდების თარიღიდან. საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანე 5 სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს დაზიანების მიზეზის დადგენა და გონივრულ ვადაში შეცვალოს წუნდებული საქონელი ან მისი ნაწილი.

2.4. მოწოდების ვადა: 2012 წლის 15 სექტემბერი.

2.5. მიწოდების ადგილი: საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მისამართზე – ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის მე-12 კმ. - საქართველოს ეროვნული სამედიცინო ტრენინგ-ცენტრის შენობა.

2.6. ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.6.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.6.3. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ერთჯერადად, უნაღდო ანგარიშსწორებით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში. ტენდერში ასევე შესაძლებელია გამოყენებული იყოს წინასწარი გადახდის მექანიზმი. წინასწარი ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია წინასწარი გადასახდელი თანხის სრული ოდენობით.

2.6.4. სატენდერო წინადადება და თანმხლები დოკუმენტაცია შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე.

2.7. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები და ინფორმაცია:

2.7.1. რეკვიზიტები(დანართი 1–ის მიხედვით);

2.7.2. ფასების ცხრილი (დანართი 2-ს მიხედვით);

2.7.3. ინფორმაცია საგარანტიო პირობების შესახებ (საგარანტიო ვადა, დაზიანების აღმოფხვრის ვადა, წუნდებული საქონლის გამოცვლის ვადა);

2.7.4. მოსაწოდებელი საქონლის დეტალური მახასიათებლები;

2.7.5. ხარისხის ან შესაბამისობის დამადასტურებელი სერტიფიკატი/მოწმობა (ასლი).

– პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

– სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში.

– ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი. რისთვისაც გამარჯვებულმა კომპანიამ უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2% ოდენობით.

შენიშვნა: სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ქართულ ენაზე.

3. ტექნიკური დოკუმენტაცია

საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

3.1.1. იურიდიული პირისათვის:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.

3.1.2. ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა სათანადო დაწესებულებიდან, რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმის წარმოება.

3.1.3. როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არარსებობის შესახებ.

არარეზიდენტმა პირებმა პირველ პუნქტში მითითებული საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ სათანადო უფლებამოსილი ორგანოდან, დადგენილი წესით დამოწმებული თარგმანის სახით - ლეგალიზებული ფორმა.

ა) ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:

– გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (ტენდერი გამოცხადებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

– ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის (წინადადების მიღება დაწყებულია) დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი დღისა.

ბ) ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილ უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

გ) პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდინს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

4. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში „შემსყიდველი“) ----- სახით, და მეორე მხრივ, -----, (შემდგომში „მიმწოდებელი“), ----- სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შემსყიდველმა განახორციელა შესყიდვა ელექტრონული ტენდერის საშუალებით – -----სახელმწიფო პროგრამა ფარგლებში ----- შესყიდვა (CPV კოდი -----) შესყიდვაზე. რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი ----- (-----) (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები.

3.1. ----- სახელმწიფო პროგრამა ფარგლებში ----- შესყიდვა:

4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

4.1 საქონლის საერთო ღირებულება -----.

4.2 საქონლის ერთეულის ღირებულება:

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის, საინსტალაციო-გამართვითი სამუშაოების და საგარანტიო მომსახურების გაწევის ხარისხისა და ვადების კონტროლი.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ეტაპობრივად განახორციელებს “შემსყიდველის” მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შესრულების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის წარმოდგენის ვადების დარღვევა შეიძლება გახდეს შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებელზე საჯარიმო სანქციების საფუძველი, ხოლო მსგავსი დარღვევების განმეორების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

5.4. ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზები მიმწოდებელმა უნდა აღმოხვრას არაუმეტეს 30 დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს ასევე შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

6. შეფუთვა

6.1. მოსაწოდებელი საქონელი შეფუთული უნდა იყოს შესაბამისი ნორმების დაცვით.

6.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია შემსყიდველის წინაშე საქონლის ნებისმიერი სახის დაზიანების შემთხვევაში, რომელიც გამოწვეული იქნება არასწორი შეფუთვით.

7. საქონლის მიწოდების პირობები

7.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება პირობით: „DDP-დანაშნულების ადგილი“ (ტრანსპორტირება, დაზღვევა, განაწილება, საქონლის მიწოდების გრაფიკში მითითებულ ადგილზე ტრანსპორტირება, მონტაჟი და გამართვა) მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებისა და ფასების ცხრილის შესაბამისად.

7.2. საქონლის მიწოდება უნდა დასრულდეს არაუგვიანეს -----.

8. თანმდევი მომსახურება

8.1. მიმწოდებელმა საქონლის მიწოდებასთან ერთად უზრუნველყოფს ინსტალაციას და ტექნიკური პრესონალის სწავლებას.

9. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

9.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ცალკეული პოზიციების მიხედვით, სატენდერო წინადადებაში და ფასების ცხრილში განსაზღვრული მიწოდების ვადების შესაბამისად.

9.2. მიღება-ჩაბარების წინ განხორციელდება მოწოდებული საქონლის საბოლოო შემოწმება, რომელსაც განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

9.3. მიღება-ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.

9.4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა, უნდა წარმოადგინოს:

ა. ხარჯთაღრიცხვა მიწოდებული საქონლის დასახელების, რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით;

ბ. შესყიდვის ობიექტის ცალკეული პოზიციებისათვის და ერთეულებისათვის საჭიროების შემთხვევაში:

გ. მონტაჟისა და გამართვის სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი (სათანადოდ გაფორმებული აქტი);

დ. სასაქონლო ზედნაღებები.

9.5. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 9.4. პუნქტში ჩამოთვლილი დოკუმენტების წარდგენა საქონლის დანიშნულების ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მოუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯებისათვის ეკისრება მიმწოდებელს.

10. საგარანტიო პირობები

10.1. საგარანტიო ვადის მოქმედების პერიოდში მიმწოდებელი ვალდებულია არაუგვიანე — სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს დაზიანების მიზეზის დადგენა.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია გარანტიის მოქმედების პერიოდში მოწოდებული საქონლის წუნდების შესახებ შეტყობინების მიღებიდან არაუმეტეს — დღეში განახორციელოს წუნის გამოსწორება ან წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

11. ანგარიშსწორება

11.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე საქონლის მიწოდების შემდეგ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

11.2. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: ანგარიშგაქვებები საქონლის აღწერით, საქონლის რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო რაოდენობის მითითებით.

11.3. წინასწარი გადახდის მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში, მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია წინასწარი გადახდელი თანხის სრული ოდენობით.

12. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

12.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქონლის ხარისხის და/ან მიწოდების პირობების გაუარესების გამო, აგრეთვე მე-14 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შემთხვევაში;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

12.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

12.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს:

- ა) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ხარისხის საქონლის მიწოდება შემსყიდველისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდა და არ მოსთხოვოს შემსყიდველს სხვა არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა.

13. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

13.1. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, აღნიშნულ ტენდერში გამოიყენება საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით, რომელიც ძალაში უნდა იყოს ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულებამდე.

13.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

13.3. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნებს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

13.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი არ დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას და იმოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

14.1. ხელშეკრულების შესრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელი უხდის ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

14.2. წინამდებარე ხელშეკრულების მე-10 მუხლის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელი ჯარიმის სახით უხდის შემსყიდველს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს.

14.3. საქონლის მიწოდებისთვის განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი ყოველ გადაცილებულ დღეზე იხდის პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ს.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა და ფასები

15.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

15.3. ფასების ცვლილება დასაშვებია შემსყიდველის თანხმობის შემთხვევაში, რაც განპირობებული უნდა იყოს ეროვნული ვალუტის ინფლაციის მაღალი დონე (არანაკლებ 5%-ით), საგადასახადო რეჟიმის შეცვლა, სავალუტო კურსის მინშვნელოვანი ცვლილება (არანაკლებ $\pm 5\%$ -ით) და სხვა;

15.4. ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან/და შემცირება არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 5%-ს.

15.5. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

15.6. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

16. ფორს-მაჟორული სიტუაცია

16.1. ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ (ნაწილობრივ) შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

16.2. გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

- ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
- ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
- გ) ეპიდემიები;
- დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

- ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტის გამოცემა, რომელიც ზემოქმედებს მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლის, წყვეტს ან აჩერებს ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.
- 16.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
- 16.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
- 16.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებული არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.
- 16.6. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
- 16.7. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.
- 16.8. მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული მოვლენის დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდე გონივრულ ვადებში.

17. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

- 17.1 მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
- 17.2 თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

18. სხვა პირობები

- 18.1 მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.
- 18.2 ხელშეკრულების მხარეები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.
- 18.3 მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 18.4 ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.
- 18.5 კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.
- 18.6 ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად, რომლებისც ინახება მხარეებთან და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.
- 18.7 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება “მიმწოდებელთან”, ორი – “შემსყიდველთან”.
- 18.8 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
სამინისტრო

ს/კ – 211333957

თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144.

სახელმწიფო ხაზინა
ბ/კ – TRESGE22 (220101222)
ა/ა – 200122900

5. დამატებითი ინფორმაცია

სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ წერილობითი მომართვის შემდეგ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: თბილისი, წერეთლის გამზ. №144, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მე-6 სართული, სახელმწიფო შესყიდვების სამმართველო. ტელ: 510041 შიდა 0703, 0705;

საკონტაქტო პირი: ნათია ბერუაშვილი, ირინა აბრამიშვილი.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება: _____

ხელმძღვანელის/ან უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი: _____

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი: _____

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი: _____

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

ბანკი და ბანკის კოდი: _____

ანგარიშსწორების ანგარიში: _____

2. ანგარიშსწორების პირობები: ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარებში, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან _____ საბანკო დღის განმავლობაში.

3. საგარანტიო მომსახურებას დაქვემდებარებული საქონლის ტრანსპორტირებას და შეცვლის/შეკეთება ხორციელდება მომწოდებლის ხარჯით შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დანახარჯის გარეშე.

4. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაშია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყების თარიღიდან „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“, „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპის დადგომამდე.

ხელის მოწერა და ბეჭედი _____

(მომწოდებლის უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი)

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა
1	2	3	4	5	6	7

შენიშვნა: სატენდერო წინადადების ფასი უნდა შეიცავდეს შესყიდვის ობიექტის მოწოდებასთან დაკავშირებულ, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადს.

პრეტენდენტის ხელმოწერა და ბეჭედი _____

აფიდავიტის ფორმა

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად, ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი;
- სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ ტენდერის პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.